

რაგვიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2006 წლის 7 ივნისის N 3200 – II დადგენილებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

მუხლი 1
მიზანი

წინამდებარე კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანი თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მუხლი 2
ტერმინთა განმარტება

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

- a) „დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი“ ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის, ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულის, ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და მეთანხმებულად მოქმედ სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მაგერიალური სარგებელი.
- b) “მძიმე დანაშაული” ნიშნავს დანაშაულს, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადით, არანაკლებ ოთხი წლისა ან სასჯელის უფრო მკაცრი ზომით;
- c) “სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი” ნიშნავს ჯგუფს, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა;
- d) “ქონება” ნიშნავს ნებისმიერი სახის აქტივებს, მაგერიალურს ან არამაგერიალურს, მოძრავს ან უძრავს, გამოხატულს ნივთებით ან უფლებებით, აგრეთვე იურიდიულ დოკუმენტებს ან აქტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ აქტივებზე უფლებას ან მათდამი ქონებრივ ინტერესს;
- e) “დანაშაულით მიღებული შემოსავალი” ნიშნავს რაიმე დანაშაულის ჩადენის გზით პირდაპირ ან არაპირდაპირ შეძენილ ან მიღებულ ქონებას;
- f) “ყაღაღა” ან “ამოღება” ნიშნავს ქონების გადაცემის, გარდაქმნის, გასხვისების ან გადაადგმვლების დროებით აკრძალვას, ან სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით მასზე დროებით კონტროლის განხორციელებას ან მის დროებით დაუფლებას;
- g) “კონფისკაცია” ნიშნავს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით ქონების საბოლოო ჩამორთმევას;

- h) “ძირითადი სამართალდარღვევა” ნიშნავს ნებისმიერ სამართალდარღვევას, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა შემოსავალი, რომელმაც შეიძლება შეადგინოს ამ კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა;
- i) “კონგროლირებადი მიწოდება” ნიშნავს მეთოდს, რომლის გამოყენების დროსაც დასაშვებია უკანონო ან საეჭვო გვირთის პარტიების შემოტანა ან გაგანა ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების ნებართვით და ზედამხედველობით, რაიმე დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით.
- j) “ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია” ნიშნავს რომელიმე რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ ორგანიზაციას, რომელსაც მისმა წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს ამ კონვენციით რეგულირებული საკითხების გადაჭრის კომპეტენცია და რომელიც ჯეროვნად უნდა იყოს უფლებამოსილი, მისი შიდა პროცედურების შესაბამისად, ხელი მოაწეროს ამ კონვენციას, მოახდინოს მისი რატიფიცირება, მიიღოს, დაამტკიცოს ან შეუერთდეს მას; ამ კონვენციაში მითითება- “მონაწილე სახელმწიფოები” ეხება ასეთ ორგანიზაციებს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3 გამოყენების სფერო

1. წინამდებარე კონვენცია, თუ მასში სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გამოიყენება, რათა აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს;
 - a) დანაშაულები, რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლების შესაბამისად;
 - b) მძიმე დანაშაულებები, როგორც განსაზღვრულია ამ კონვენციის მე-2 მუხლით; თუ ეს დანაშაული აგარებს გრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნისათვის, დანაშაული აგარებს გრანსნაციონალურ ხასიათს, თუ იგი:
 - a) ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში;
 - b) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში;
 - c) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; ან
 - d) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 4 სუვერენიტეტის დაცვა

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ კონვენციით ნაკისრი

ვალდებულებები სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, გერიტორიული მთლიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვით.

2. ამ კონვენციაში არაფერი არ ანიჭებს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი იურისდიქცია და ფუნქციები, რომლებიც განეკუთვნება მხოლოდ ამ სახელმწიფოს ორგანოების კომპეტენციას ამ უკანასკნელის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საფირო გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისათვის;

a) ქვემოთ დასახელებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი ან ორივე დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის მიუკუთვნებლად და დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტობრივი ჩადენის მიუხედავად;

i) ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მაგერიალური სარგებლის მიღების მიზნით, და თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე იგულისხმება ერთ-ერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივი განხორციელება შეთანხმების რეალიზაციისათვის, ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა;

ii) ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიღინოს შესაბამისი დანაშაულები, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს;

a. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში;

b. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მიზნების მიღწევას;

b) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წინასწარი შეცნობა, განზრახვა, ჩანაფიქრი, მიზანი ან შეთანხმება შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებებით.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა, რომელთა შორის შიდა კანონმდებლობა ამ მუხლის (I)(a)(i) პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად მოიაზრებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობას, უნდა უზრუნველყონ, რომ მათი შიდა კანონმდებლობაში გათვალისწინებული იქნეს ყველა მძიმე დანაშაული, რომლებიც ჩადენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეობით. ამ მონაწილე სახელმწიფოებმა, აგრეთვე მონაწილე სახელმწიფოებს, რომელთა შიდა კანონმდებლობა ამ მუხლის (I)(a)(i) პუნქტის მიზნებისათვის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად მიიჩნევს შეთანხმების რეალიზაციის მიზნით ქმედების ფაქტობრივ განხორციელებას, ამის შესახებ უნდა აცნობონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ამ კონვენციის ხელმოწერის ან მისი

რაგიფიცირების, მიღების, დამტკიცების თუ შეერთების დოკუმენტის დეკონირებისას.

მუხლი 6

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ დანაშაულად იქნეს აღიარებული შემდეგი განზრახ ჩადენილი ქმედებები:

a)(i) წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის ჩადენის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას.

(ii) წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.

b) საკუთარი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების დაცვის პირობით:

i) ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, იმის შეცნობით, რომ მისი მიღების მომენტისათვის, ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის გზით მიღებულ ქონებას.

ii) ამ მუხლში დადგენილი დანაშაულებების ჩადენის მიზნით შეკავშირება ან შეთანხმებაში მონაწილეობა, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მცდელობა და დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და დანაშაულის ჩადენის თაობაზე რჩევის მიცემა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის განხორციელების ან გამოყენების მიზნებისათვის:

a) თითოეული მონაწილე სახელმწიფო უნდა შეეცადოს, გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტი ყველაზე ფართო წრის ძირითადი სამართალდარღვევების მიმართ;

b) თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ ძირითად სამართალდარღვევებს უნდა მიაკუთვნოს ყველა მძიმე დანაშაული, რომლებიც ამ კონვენციის მე-2 მუხლშია განსაზღვრული და სამართალდარღვევები, რომლებიც დადგენილია ამ კონვენციის მე-5, მე-8 და 23-ე მუხლებში. მონაწილე სახელმწიფოს შემთხვევაში, რომელთა კანონმდებლობაც ადგენს სპეციფიკური ძირითადი დანაშაულების ჩამონათვალს, მაშინ მათ, მინიმუმ, ასეთ სიებში უნდა შეიგანონ იმ სამართალდარღვევათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან.

c) (b) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ძირითადი სამართალდარღვევები უნდა მოიცავდეს როგორც შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ ჩადენილ დანაშაულებებს. თუმცა, მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაული უნდა ჩაითვალოს სამართალდარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი ქმედება სისხლის სამართლებრივად დასჯადია იმ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, რომელშიც ის იქნა ჩადენილი, და სისხლის სამართლით დასჯადი იქნებოდა ამ მუხლის განმარტაციული და გამომყენებელი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით, ეს ქმედება რომ ამ მონაწილე სახელმწიფოში ყოფილიყო ჩადენილი;

- d) თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა წარუდგინოს ამ მუხლის დებულებათა რეალიზაციისათვის აუცილებელი თავისი ნორმატიული აქტების ტექსტები, აგრეთვე მათი ნებისმიერი შემდგომი ცვლილების ტექსტები ან მათი აღწერა.
- e) თუ ამას მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დანაშაულებები არ ეხება პირებს, რომელთაც ჩაიდინეს ძირითადი სამართალდარღვევა.
- f) წინასწარი შეცნობა, განმარტება და მიზანი, როგორც ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები, შეიძლება, დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

მუხლი 7

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ:

- a) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა დაადგინოს შიდა რეგულირების და ბეღამხედველობის ყოვლისმომცველი რეჟიმი ბანკების და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების მიმართ და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ორგანოების მიმართაც, რომლებიც ფულის გათეთრების თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველი არიან, რათა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გამოავლინონ და არ დაუშვან ფულის გათეთრების რაიმე ფორმა; ასეთი რეჟიმი ხაზს უსვამდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა კლიენტის პიროვნების დადგენა, მონაცემთა რეესტრის წარმოება და საექვო გარიგებებზე ინფორმაციის წარმოდგენა;
- b) უნდა უზრუნველყოს, ამ კონვენციის მე-18 და 27-ე მუხლებისათვის მიზნის მიუყენებლად, ადმინისტრაციულ, მარეგულირებელ, სამართალდამცავ და სხვა ორგანოებს, რომლებიც ებრძვიან ფულის გათეთრებას (სასამართლო ორგანოების ჩათვლით, თუ ეს შეესაბამება შიდა კანონმდებლობას), ჰქონდეთ თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, შიდა კანონმდებლობით დადგენილი პირობების ფარგლებში და ამ მიზნებისათვის გაითვალისწინონ ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნა, რომელიც ფულის გათეთრების პოტენციურ შემთხვევებში იმოქმედებს, როგორც ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გავრცელების ეროვნული ცენტრი;

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ შესაძლო ღონისძიებების განხორციელება მათ საზღვარზე ნაღდი ფულადი სახსრების და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენის და კონტროლის მიზნით, იმ პირობით, რომ შესაბამისი ინფორმაცია სათანადოდ იქნება გამოყენებული და კანონიერი კაპიტალის რაიმე გზით გადაადგილების შეუფერხებლად. ასეთი ზომა შეიძლება მოიცავდეს ისეთი მოთხოვნის დაწესებას, რომლის თანახმად, ფიზიკური პირები და კომერციული ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, განაცხადონ საზღვარგარეთ არსებითი მოცულობის ნაღდი ფულის გადაგზავნისა და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაგზავნის შესახებ.

3. ამ მუხლის დებულებებით გათვალისწინებული ბეღამხედველობისა და რეგულირების

შიდა რეჟიმის დადგენისას მონაწილე სახელმწიფოებს მოეწოდებათ, ამ კონვენციის სხვა მუხლების შეუღლებად, იხელმძღვანელონ შესაბამისი რეგიონული, რეგიონთშორისი და მრავალმხრივი ორგანიზაციების შესაბამისი ინიციატივებით, რომლებიც მიმართულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ.

4. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, განავითარონ და წაახალისონ გლობალური, რეგიონული, სუბრეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა სასამართლო, სამართალდამცავ და საფინანსო რეგულირების ორგანოებს შორის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ბრძოლის მიზნით.

მუხლი 8

კორუფციის კრიმინალიზაცია

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისათვის.

a) საჯარო მოხელისათვის, პირდაპირ და არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან;

b) პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან;

2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღება, რაც შეიძლება საჭირო გახდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ქმედებების დანაშაულად აღიარებისათვის, რომლებშიც მონაწილეობს უცხო ქვეყნის საჯარო მოხელე ან საერთაშორისო სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირი. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად აღიაროს კორუფციის სხვა ფორმებიც.

3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ ასევე უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად იქნეს მიჩნეული ამ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულში თანამონაწილეობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის და წინამდებარე კონვენციის მე-9 მუხლის მიზნებისთვის, "საჯარო მოხელე" ნიშნავს საჯარო მოხელეს ან პირს, რომელიც ასრულებს საჯარო სამსახურს, როგორც ეს განსაზღვრულია მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, რომელშიც მოცემული პირი ასრულებს ამგვარ ფუნქციებს და როგორც ეს გამოიყენება ამ მონაწილე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მუხლი 9

კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ზომები

1. ამ კონვენციის მე-8 მუხლში მითითებულ მომებთან ერთად თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ, იმდენად, რამდენადაც საჭიროა და შეესაბამება მის სამართლის სისტემას, უნდა მიიღოს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა ეფექტური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერების დამკვიდრებას, აგრეთვე კორუფციის თავიდან აცილებას, გამოვლენას და საჯარო მოხელეთა კორუფციისათვის დასჯას.
2. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს თავისი ორგანოების ეფექტური მოქმედება საჯარო მოხელეთა შორის კორუფციის აცილების, გამოვლენის და მათი დასჯის საქმეში; ასეთი ორგანოებისათვის საკმარისი დამოუკიდებლობის მინიჭების ჩათვლით, რათა თავიდან იქნეს აცილებული არამართლზომიერი გეგავლენა მათ მოქმედებაზე.

მუხლი 10

იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა

1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, თავისი სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დასაწესებლად იმ სერიოზულ დანაშაულებებში მონაწილეობისათვის, რომლებშიც ჩართულია დანაშაუვითა ორგანიზებული ჯგუფი და ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლების შესაბამისად ასეთად მიჩნეულ დანაშაულებებში მონაწილეობისათვის.
2. მონაწილემ სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების დაცვის პირობით, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციული.
3. ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანს არ უნდა აყენებდეს დანაშაულებათა ჩამდენი ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
4. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ, ამ მუხლის შესაბამისად პასუხისმგებაში მიცემულ პირთა მიმართ უნდა უზრუნველყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ზემოქმედების მქონე სისხლისსამართლებრივი ან არასისხლისსამართლებრივი სანქციების, მათ შორის, ფულადი სანქციების გაგარება.

მუხლი 11

სისხლისსამართლებრივი ღვენა, სასამართლო გადაწყვეტილება და სანქციები

1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების მიმართ, უნდა გაითვალისწინოს ისეთი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.
2. თითოეული მონაწილემ სახელმწიფომ უნდა შეეცადოს განახორციელოს მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად პირის სისხლისსამართლებრივი ღვენის დისკრეციული უფლებამოსილება ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების მიმართ იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სამართალდამცავი ზომების ეფექტიანობა და მხედველობაში იქნეს მიღებული ამ დანაშაულებების ჩადენის თავიდან აცილების საჭიროება.
3. იმ დანაშაულებების მიმართ, რომლებიც ასეთად არის მიჩნეული წინამდებარე კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით, თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ,

მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და დაცვის მხარის უფლებების სათანადო გათვალისწინებით, უნდა მიიღოს სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლო სხდომამდე გათავისუფლების შესახებ ან შეტანილი საჩივარზე გადაწყვეტილების გამოგანისას უზრუნველყოფილი იქნეს ბრალდებულის დასწრება სისხლის სამართალწარმოების შემდგომ სტადიებზე.

4. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა სასამართლოებმა და სხვა კომპეტენტურმა ორგანოებმა გათვალისწინონ ამ კონვენციით განსაზღვრული დანაშაულებების სიმძიმე ისეთი საკითხის განხილვისას, როგორცაა აღნიშნული დანაშაულებებისათვის მსჯავრდებულ პირთა ვადამდე ან პირობით გათვალისწინების შესაძლებლობა.

5. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, საჭიროების შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაადგინოს ხანდაზმულობის ვადა სისხლის სამართლის დევნის აღძვრისათვის ყველა იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომელსაც მოიცავს ეს კონვენცია, და უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადა მაშინ, როდესაც ეჭვიგანილი თავს არიდებს მართლმსაჯულებას.

6. ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა ხელყოფდეს პრინციპს, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი სამართალდარღვევის აღწერა და შესაფერისი იურიდიული გამართლებები ან სხვა სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნის მართლმომიერებას, შედის მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში და ამ სამართალდარღვევების სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა უნდა განხორციელდეს ამ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12

კონფისკაცია და ყადაღა

1. მონაწილე სახელმწიფოებმა, შესაძლებლობების ფარგლებში მათი შიდასამართლებრივი სისტემების ჩარჩოებში, უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს:

a) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების გზით მიღებული შემოსავლების ან შესაბამისი ღირებულების ქონების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად;

b) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ნებისმიერი ნივთის შესაძლო იდენტიფიცირების, ძებნის, დაყადაღების ან ამოღების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის, მისი საბოლოო კონფისკაციის მიზნით.

3. თუ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები, ნაწილობრივ ან მთლიანად, გარდაიქმნა ან შეიცვალა სხვა ქონებად, მაშინ ეს ქონება უნდა დაექვემდებაროს ამ მუხლში მითითებულ ღონისძიებებს.

4. თუ დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები შეეერთა კანონიერი წყაროებით შექმნილ ქონებას, მაშინ ყადაღის დადების ან ამოღების უფლებამოსილების შეუღალხავად კონფისკაციას დაექვემდებარება ქონების ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დანაშაულის გზით მიღებული შერეული შემოსავლების შეფასებულ

ღირებულებას.

5. მოგება ან სხვა სარგებელი, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი შემოსავლებისაგან, იმ ქონებისაგან, რომელადაც გარდაიქმნა ან შეიცვალა დანაშაულებრივი შემოსავლები ან ქონებისაგან, რომელსაც შეერია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები, ასევე უნდა დაექვემდებაროს ამ მუხლში მითითებულ ღონისძიებებს, იმავე წესით და იმავე ზომით, როგორც დანაშაულებრივი შემოსავლები.
6. წინამდებარე კონვენციის ამ მუხლისა და მე-13 მუხლის მიზნებისათვის, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება, გამოსცენ საბანკო, საფინანსო და კომერციული დოკუმენტების წარდგენის ან მათზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილებები. მონაწილე სახელმწიფოებმა, საბანკო საიდუმლოს შენახვის აუცილებლობის მოტივით არ უნდა აარიდონ თავი ამ პუნქტში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.
7. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, განიხილონ იმ მოთხოვნის დაწესების შესაძლებლობა, რომლის მიხედვით დანაშაულის ჩამდენმა უნდა დაასაბუთოს საეჭვო დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების ან სხვა ქონების კანონიერი წარმომავლობა, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას, იმგვარად, რომ ეს მოთხოვნა შეესაბამება მათი შიდა კანონმდებლობის პრინციპებს და სასამართლო და სხვა წარმოების ხასიათს.
8. ამ მუხლის დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ შეილახოს კეთილსინდისიერი მესამე მხარის უფლებები.
9. ამ მუხლში არაფერი უნდა ხელყოფდეს პრინციპს, რომ მასში ასახული ზომები უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებების დაცვის პირობით.

მუხლი 13

საერთაშორისო თანამშრომლობა კონფისკაციის მიზნით

1. მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც მიიღო სხვა მონაწილე სახელმწიფოს თხოვნა, რომელიც ამ კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე ფლობს იურისდიქციას დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების კონფისკაციაზე, რომლებიც მიფთითებულია ამ კონვენციის მე-12 მუხლის 1-ლ პუნქტში და მდებარეობს მის ტერიტორიაზე, თავის შიდა სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული მაქსიმალური შესაძლებლობებით, უნდა:

- a) გასცეს ეს თხოვნა თავის კომპეტენტურ ორგანოებს კონფისკაციის დადგენილების მისაღებად, და ასეთი დადგენილების გამოგანის შემთხვევაში, მოიყვანოს იგი სისრულეში; ან
- b) გადასცეს კომპეტენტურ ორგანოებს კონფისკაციის შესახებ დადგენილება, რომელიც გამოგანილია თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს სასამართლოს მიერ ამ კონვენციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რათა იგი შესრულდეს იმ ფარგლებში, როგორც ეს მითითებულია თხოვნაში და იმდენად, რამდენადაც იგი ეხება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს, ქონებას, მოწყობილობას ან სხვა საშუალებებს, რომლებიც მითითებულია მე-12 მუხლის პირველ პუნქტში.

2. წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე იურისდიქციის მქონე მონაწილე სახელმწიფოსაგან თხოვნის მიღების შემდეგ, თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ამ კონვენციის მე-12 მუხლში მითითებული დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობების ან სხვა საშუალებების გამოვლენის, მოძებნის, დაყადაღების ან ამოღებისათვის, მათი საბოლოო კონფისკაციის მიზნით, რომლის შესახებაც დადგენილება გამოგანილი უნდა იქნეს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ან, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს მიერ.

3. კონვენციის მე-18 მუხლის დებულებები გამოიყენება *mutatis mutandis* ამ მუხლთან მიმართებაში. მე-18 მუხლის მე-15 პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად ამ მუხლის საფუძველზე გაგზავნილი თხოვნა უნდა შეიცავდეს:

a) ამ მუხლის (I)(a) პუნქტით გათვალისწინებული თხოვნის შემთხვევაში, კონფისკაციისათვის განკუთვნილი ქონების აღწერას და ფაქტების გადმოცემას, რომლებსაც ეყრდნობა მონაწილე სახელმწიფო და რომლებიც აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოს მიერ სათანადო დადგენილების გამოსაგანად მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად;

b) ამ მუხლის (I)(b) პუნქტით გათვალისწინებული თხოვნის შემთხვევაში, თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს მიერ გამოგანილი კონფისკაციის დადგენილების იურიდიულად დასაშვებ ასლს, რომელსაც ეფუძნება თხოვნა; ფაქტების გადმოცემა და ინფორმაციას დადგენილების შესრულების მოცულობის შესახებ, რომელზეც გაგზავნილია თხოვნა;

c) ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თხოვნის შემთხვევაში, ფაქტების გადმოცემას, რომლებსაც ეყრდნობა მონაწილე სახელმწიფო, და გასაგარეული ზომების აღწერას, რომელზედაც გაგზავნილია თხოვნა.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები ან ზომები მიმღებმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს მისი შიდა კანონმდებლობის დებულებების და საპროცესო ნორმების შესაბამისად ან თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსთან დადებული, შესასრულებლად სავალდებულო, ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებების, შეთანხმების ან მორიგებების შესაძლებლობის შესაბამისად.

5. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა წარუდგინოს თავისი კანონების და წესების ტექსტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მუხლის დებულებების განხორციელებას, და ასეთი კანონების და წესების ყოველი მომდევნო ცვლილებების ტექსტები ან მათი აღწერა.

6. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო გამოთქვამს სურვილს განაპირობოს ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ზომების განხორციელება შესაბამისი ხელშეკრულების არსებობით, მაშინ ამ მონაწილე სახელმწიფომ წინამდებარე კონვენცია უნდა განიხილოს, როგორც აუცილებელი და საკმარისი სახელშეკრულებო საფუძველი.

7. მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება, უარი ეთქვათ თანამშრომლობაზე ამ მუხლის თანახმად, თუ დანაშაული, რომელსაც ეხება თხოვნა, არ არის.

8. ამ მუხლის დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ შეილახოს კეთილსინდისიერი მესამე მხარის უფლებები.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ორმხრივი და მრავალმხრივი

ხელშეკრულებების, შეთანხმებების დადების და მორიგების შესაძლებლობა წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლებისათვის.

მუხლი 14

დანაშაულის გზით მიღებული კონფისკაციაქმნილი შემოსავლების ან ქონების განკარგვა

1. კონვენციის მე-12 მუხლით ან მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება მონაწილე სახელმწიფომ უნდა განკარგოს თავისი შიდა კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად.

2. სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად გამოგზავნილი თხოვნის შესრულებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა, რამდენადაც დაშვებულია მათი კანონმდებლობით, და თუ ეს მითითებულია თხოვნაში, უპირატესობა უნდა მიანიჭონ კონფისკაციაქმნილი დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ან ქონების დაბრუნებას თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოსთვის, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს კომპენსაციის გადახდა დაზარალებულთათვის ან დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება დაუბრუნოს კანონიერ მესაკუთრეებს.

3. კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი თხოვნის შესრულებისას, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ცალკე განიხილოს შეთანხმებების დადების ან მორიგებების შესაძლებლობა იმის თაობაზე, რომ:

a) დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლები ან ქონება, ანდა მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თხნები ან მათი ნაწილი გადაირიცხოს ამ კონვენციის 30-ე მუხლის მე-2 (c) პუნქტის მიზნებისათვის ან გადაეცეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ სამთავრობათაშორისო ორგანოებს;

b) თავიანთი შიდა კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული პროცედურებით დადგენილი წესით, დანაშაულის გზით მოპოვებული შემოსავლები ან ქონება, ან მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების ნაწილი გაუნაწილდეთ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს რეგულარულ ან ერთჯერად საფუძველზე.

მუხლი 15

იურისდიქცია

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ დაწესდეს მისი იურისდიქცია ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე, როდესაც:

a) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ან

b) დანაშაული ჩადენილია მონაწილე სახელმწიფოს დროშით მოსიარულე გემზე, ან საჰაერო ხომალდზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის რეგისტრირებულია ამ მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კონვენციის მე-4 მუხლის დაცვის პირობით, მონაწილე სახელმწიფოს ასევე შეუძლია თავის იურისდიქცია დააწესოს აღნიშნულ დანაშაულებებზე, როდესაც:

- a) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის წინააღმდეგ;
- b) დანაშაული ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომელიც, ჩვეულებრივ, მის ტერიტორიაზე ცხოვრობს;
- c) დანაშაული:
- i) არის იმ დანაშაულთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით და ჩადენილია მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მის ტერიტორიაზე მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით;
- ii) არის იმ დანაშაულთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის (l)(b)(ii) პუნქტით და ჩადენილია მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, მის ტერიტორიაზე ამ კონვენციის მე-6 მუხლის (l)(a)(l)-(ii) ან (l)(b)(i) პუნქტებში აღნიშნული რომელიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით.
3. ამ კონვენციის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისათვის, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საირო გახდეს, ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე თავისი იურისდიქციის დასაწესებლად, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ გადასცემს ასეთ პირს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის მისი მოქალაქეა.
4. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება, საჭირო გახდეს ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე თავისი იურისდიქციის დასაწესებლად, როდესაც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ გადასცემს მას.
5. თუ მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც ახორციელებს თავის იურისდიქციას ამ მუხლის პირველი ან მეორე პუნქტის თანახმად, მიიღო შეწყობინება ან სხვა გზით გაიგო, რომ ერთი ან რამდენიმე სხვა მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ ღებნას ან სასამართლო წარმოებას ერთი და იმავე ქმედებასთან დაკავშირებით, ამ მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენციურმა ორგანოებმა, სათანადო შემთხვევაში, ერთმანეთს უნდა გაუწიონ კონსულტაციები მოქმედებათა კოორდინირებისათვის.
6. საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმებისთვის მიანის მიყენების გარეშე, ეს კონვენცია არ გამორიცხავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნებისმიერი სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებას თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16

ექსტრადიცია

1. ეს მუხლი გამოიყენება ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების მიმართ, ან იმ შემთხვევებში, როდესაც მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (a) ან (b) ქვეპუნქტებში მითითებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, და პირი, რომლის ექსტრადიციას მოითხოვენ და რომელიც იმყოფება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ პირობით, რომ ქმედება, რომლის გამოც მოითხოვება ექსტრადიცია სჯადია როგორც თხოვნის გამგზავნი, ისე თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოები შიდა კანონმდებლობით.
2. თუ თხოვნა ექსტრადიციის შესახებ მოიცავს რამდენიმე ცალკეულ სერიოზულ

დანაშაულს, რომელთაგან ზოგიერთი არ შედის ამ მუხლში, მაშინ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლია, აღნიშნული მუხლის მოქმედება გაავრცელოს ამ უკანასკნელი დანაშაულებების მიმართაც.

3. თითოეული დანაშაული, რომელთა მიმართებაშიც გამოიყენება ეს მუხლი, უნდა ჩაითვალოს ექსტრადირებად დანაშაულად მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებული ნებისმიერ ექსტრადიციის ხელშეკრულებაში. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ექსტრადიციას დაქვემდებარებული ასეთი დანაშაულებები ჩართონ ნებისმიერ ექსპედიციის ხელშეკრულებაში, რომლებიც დაიდება მათ შორის.

4. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას აფუძნებს ექსტრადიციის ხელშეკრულების არსებობის პირობაზე, იღებს ექსტრადიციის შესახებ თხოვნას სხვა მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომელთანაც არა აქვს დადებული ექსტრადიციის ხელშეკრულება, მას შეუძლია, ეს კონვენცია მიიჩნიოს ექსტრადიციის იურიდიულ საფუძვლად ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით.

5. მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც გადაცემას აფუძნებენ შესაქამისი ხელშეკრულების არსებობის პირობაზე:

a) ამ კონვენციის სარაგვიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეკონირებისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა აცნობონ, გამოიყენებენ თუ არა ამ კონვენციას სამართლებრივი საფუძვლის სახით სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან ექსტრადიციებზე თანამშრომლობისას. და

b) თუ ისინი ამ კონვენციას არ იყენებენ სამართლებრივი საფუძვლის სახით ექსტრადიციებზე თანამშრომლობისას, მაშინ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეეცადონ დადონ ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებები კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან, რათა განხორციელდეს ეს მუხლი.

6. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ექსტრადიციას არ აფუძნებენ ხელშეკრულების არსებობის პირობაზე, დანაშაულებები, რომლების მიმართ გამოიყენება ეს მუხლი, უნდა აღიარონ ექსტრადიციას ქვემდებარე დანაშაულებებად.

7. ექსტრადიცია ხორციელდება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ანდა მოქმედი ექსტრადიციის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც, *inter alia*, უნდა შეიცავდეს ექსტრადიციისთვის აუცილებელი სასჯელის მინიმალურ ზომას და საფუძველს რა შემთხვევაშიც შეუძლია თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უარი თქვას ექსტრადიციაზე.

8. მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი შიდა კანონმდებლობის დაცვის პირობით, მთელი ძალისხმევით უნდა შეეცადონ, დააჩქარონ ექსტრადიციის პროცედურები და გაამარტივონ მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნები, ამ მუხლში აღნიშნულ ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებაში.

9. შიდა კანონმდებლობისა და ექსტრადიციის ხელშეკრულების დებულებათა გათვალისწინებით, თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს, თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამას გადაუდებელი ხასიათის გარემოებები მოითხოვს, შეუძლია დააკავოს მის გერიგორიაზე მყოფი პირი, რომლის ექსტრადიციას ითხოვენ, ან მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები ექსტრადიციის პროცედურებზე ამ პირის დასწრების უზრუნველსაყოფად.

10. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომლის გერიგორიაზეც იმყოფება დანაშაულში ეჭვმიტანილი, უარს ამბობს მის ექსტრადიციაზე იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს მუხლი, მხოლოდ იმ ომგვით, რომ იგი მისი მოქალაქეა, ეს მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, თხოვნის გამგზავნი მონაწილე

სახელმწიფოს თხოვნით, დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე, გადასცეს საქმე თავის კომპეტენტურ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, ამ ორგანოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და განახორციელონ საქმის წარმოება ისევე, როგორც განახორციელებდნენ შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. ამ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ურთიერთ ითანამშრომლონ, კონკრეტულად, პროცესუალურ და მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებში სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

11. ყველა შემთხვევაში, როდესაც მონაწილე სახელმწიფო შიდა კანონმდებლობით უფლებამოსილია, მოახდინოს ექსტრადიცია ან სხვა წესით გასცეს თავისი მოქალაქე, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი დაბრუნებულ იქნება მონაწილე სახელმწიფოში იმ დანაშაულზე სასამართლო განხილვის ან საქმის წარმების შედეგად გამოტანილი სასჯელის მოხდასათვის, რომლის გამოც მოთხოვნილ იქნა ამ პირის ექსტრადიცია ან გაცემა, და ეს მონაწილე სახელმწიფო და ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო შეთანხმდებიან ამ და სხვა პირობებზე, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიან, მაშინ ასეთი პირობითი ექსტრადიცია ან გაცემა საკმარისი უნდა იყოს ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

12. ამ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო უარს ამბობს განაჩენის აღსრულების მიზნებისათვის პირის ექსტრადიციაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული პირი მისი მოქალაქეა, მოცემულმა თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ, თუ ამას უშეუბნებს მისი შიდა კანონმდებლობა და შეესაბამება მის მოთხოვნებს, მთხოვნილი მხარის თხოვნით უნდა განიხილოს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობით დაკისრებული სასჯელის ან მისი ნაწილის აღსრულების შესაძლებლობა.

13. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება საქმის წარმოება ამ მუხლში აღნიშნული რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებით გარანტირებული უნდა ჰქონდეს სამართლიანი მოპყრობა საქმის წარმოების ყველა ეტაპზე, ყველა იმ უფლებებით და გარანტიებით სარგებლობის ჩათვლით, რომლებსაც ითვალისწინებს მონაწილე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობა, რომლის გერიტორიაზეც ეს პირიც იმყოფება.

14. ამ კონვენციაში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც ექსტრადიციის აუცილებლობის ვალდებულება, თუ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს აქვს არსებითი საფუძველი, ივარაუდოს, რომ პირის ექსტრადიციის თხოვნა მიზნად ისახავს მის დევნას ან დასჯას, სქესის, რასის, რელიგიის, მოქალაქეობის, ეთნიკური წარმომავლობის ანპოლიტიკურ შეხედულებათა გამო, ან ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება ავნებს ამ პირის მდგომარეობას რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო.

15. მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ უარი განაცხადონ ექსტრადიციაზე მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ დანაშაული უკავშირდება ფისკალურ საკითხებს.

16. გადაცემაზე უარის თქვამდე, თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციები უნდა გამართოს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოსთან, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა, მისი მტკიცებულების შესაბამისად წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები და ინფორმაცია.

17. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები ან მორიგდნენ ექსტრადიციის ეფექტიანობის ამაღლებისა და განხორციელების მიზნით.

მუხლი 17

მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა

მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადება ან მორიგებების შესაძლებლობა მათ გერიგორიაზე იმ პირთა გადაყვანის შესახებ, რომელთაც ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მისჯილი აქვთ პატიმრობა ან სხვა სახის თავისუფლების აღკვეთა, რათა მათ სასჯელი მოიხადონ ამ მონაწილე სახელმწიფოების გერიგორიებზე.

მუხლი 18

სამართლებრივი ურთიერთდახმარება

1. მონაწილე სახელმწიფოებმა ერთმანეთს უნდა გაუწიონ მაქსიმალურად ფართო სამართლებრივი ურთიერთდახმარება ამ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებათა გამოძიების სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო წარმოების საკითხებში. და ერთმანეთს უნდა გაუწიონ ანალოგიური დახმარება, თუ თხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (a) ან (b) ქვეპუნქტებში აღნიშნული დანაშაული გრანსნაციონალური ხასიათისაა, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დანაშაულის დაზარალებულნი, მოწმეები, შემოსავლები, დანაშაულის ჩადენის საშუალებები ან ამ დანაშაულების მტკიცებულება იმყოფება თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოში და დანაშაულში ჩართულია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი.

2. სამართლებრივი ურთიერთდახმარება უნდა განხორციელდეს, მაქსიმალურად შეძლებისდაგვარად, თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შესაბამისი კანონების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების და მორიგებების შესაძლებლობის შესაბამისად გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო წარმოების სფეროში ისეთ დანაშაულებებთან დაკავშირებით, რომელთა ჩადენაც თხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოში ამ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად იწვევს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას.

3. ამ მუხლის გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთდახმარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი შემდეგი მიზნით:

a) პირთაგან მოწმის ჩვენების ან მტკიცებულების მიღება;

b) სასამართლო დოკუმენტის გადაცემა;

c) ჩხრეკა, ამოღება და დაყადაღება;

d) ობიექტებისა და ადგილის დათვალიერება;

e) ინფორმაციის, ნივთიერი მტკიცებულებების და ექსპერტთა შეფასებების წარდგენის უზრუნველყოფა;

f) შესაბამისი, მათ შორის, სამთავრობო, საბანკო, საფინანსო, კორპორაციული ან კომერციული დოკუმენტების დედნების ან მათი დამოწმებული ასლების წარდგენა;

g) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, დანაშაულის ჩადენის საშუალებების ან სხვა ნივთმტკიცებების გამოვლენა ან ძებნა;

h) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ორგანოებში შესაბამის პირთა ნებაყოფლობით გამოცხადების ხელშეწყობა;

i) ყველა სხვა სახის დახმარების აღმოჩენა, რომელიც არ ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას.

4. შიდა კანონმდებლობის დაურღვევლად, მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ

ორგანოებს, წინასწარი თხოვნის გარეშე, შეუძლიათ გასცენ ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი საკითხების შესახებ სხვა მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, თუ თვლიან, რომ ასეთი ინფორმაცია დაეხმარება ამ ორგანოს გამოძიების და სისხლის სამართალწარმოების განხორციელების და წარმატებით დასრულების საქმეში ან შესაძლებლობას მისცემს, წარმოადგინოს მოთხოვნა ამ კონვენციით გათვალისწინებული წესით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის გადაცემა უნდა განხორციელდეს ინფორმაციის მიმწოდებელ სახელმწიფოში გამოძიებისა და სისხლის სამართალწარმოებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ინფორმაციის მიმღები კომპეტენტური ორგანოები უნდა დაემორჩილონ მოთხოვნას, რომ ნახსენები ინფორმაცია იყოს კონფიდენციალური, თუნდაც ღროებით, ან დაემორჩილონ შეზღუდვას მისი გამოყენების თაობაზე, თუმცა, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს მიმღებ სახელმწიფოს თავის სამართალწარმოების პროცესში გამოაშკარაოს ინფორმაცია, რომელიც ამართლებს ბრალდებულს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გამოაშკარავებამდე, ინფორმაციის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ გამოაშკარავების შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს ინფორმაციის მიმწოდებელ მონაწილე სახელმწიფოს და, თუ მიღებულია თხოვნა, უნდა გამართოს კონსულტაციები ინფორმაციის მიმწოდებელ მონაწილე სახელმწიფოსთან. თუ, გამონაკლის შემთხვევაში, წინასწარ შეგუბინება შეუძლებელია, ინფორმაციის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ მიმწოდებელ მონაწილე სახელმწიფოს უნდა შეატყობინოს გამოაშკარავების შესახებ, დაყოვნების გარეშე.

6. ამ მუხლის დებულებები ზიანს არ უნდა აყენებდეს რომელიმე, ორმხრივი ან მრავალმხრივი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, არეგულირებენ ან დაარეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთდახმარებას.

7. ამ მუხლის მე-9-29-ე პუნქტები უნდა გამოიყენებოდეს აღნიშნული მუხლის საფუძველზე გაგზავნილი თხოვნის მიმართ, თუ შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოები არ არიან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების რაიმე ხელშეკრულებით, თუ ეს მონაწილე სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ასეთი ხელშეკრულებით, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდებიან მათ ნაცვლად ამ მუხლის მე-9 – 29-ე პუნქტების გამოყენებაზე. მონაწილე სახელმწიფოებს მკაცრად მოეთხოვებათ, გამოიყენონ ეს პუნქტები, თუ ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობას.

8. მონაწილე სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან ამ მუხლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე საბანკო საიდუმლოს მოცივით.

9. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, უარი თქვან ამ მუხლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე შესაბამისი ქმედების დანაშაულად ორმხრივი აღიარების არარსებობის საფუძველზე. თუმცა, თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, გაუწიოს დახმარება, რომლის მოცულობასაც განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ, იმისგან დამოუკიდებლად, ჩაითვლება თუ არა დანაშაულად შესაბამისი ქმედება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით.

10. პირი რომელიც დაკავებულია ან სასჯელს იხდის ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომლის ყოფნა სხვა მონაწილე სახელმწიფოში

საჭიროა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებებთან დაკავშირებით პიროვნების დადგენის, ჩვენების მიცემის ან სხვა მიზნებისათვის ან სხვაგვარი გზით გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების დახმარების მიზნით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს ამ მონაწილე სახელმწიფოში, თუ;

a) ეს პირი ძალდაუტანებლად იძლევა ამაზე გაცნობიერებულ თანხმობას;

b) ორივე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები მიაღწევენ შეთანხმებას იმ პირობებზე, რომლებსაც მონაწილე სახელმწიფოები ჩათვლიან საჭიროდ.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისათვის:

a) მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, უფლებამოსილი და ვალდებულია გადაყვანილი პირი ჰყავდეს პატიმრობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაწილე სახელმწიფო, საიდანაც გადაყვანილ იქნა ეს პირი, იძლევა სხვაგვარ უფლებამოსილებას ან აყენებს სხვაგვარ მოთხოვნას;

b) მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, ვალდებულია დაყოვნების გარეშე დააბრუნოს პირი იმ მონაწილე სახელმწიფოს განკარგულებაში, საიდანაც იგი იქნა გადაყვანილი როგორც ეს წინასწარ იყო შეთხმებული, ან, თუ სხვაგვარად არის შეთანხმებული, ორივე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შორის;

c) მონაწილე სახელმწიფომ, რომელშიც გადაყვანილ იქნა პირი, არ უნდა მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს, საიდანაც გადაყვანილი იქნა პირი, ექსტრადიციის წარმოების დაწყება ამ პირის უკან დასაბრუნებლად;

d) გადაცემული პირის სასჯელის ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაყვანილი პირი იმყოფებოდა პატიმრობაში მონაწილე სახელმწიფოში, სადაც გადაყვანილ იქნა, უნდა ჩაეთვალოს სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

12. მონაწილე სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომლიდანაც პირი გადაყვანილ უნდა იქნეს ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, ეს პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას, დაკავებას, დასჯას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც გადაყვანილია ეს პირი, იმ ქმედებებთან ან მსჯავრდებულებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩაღნილია მის გადაყვანამდე იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლიდანაც იგი იქნა გადაყვანილი.

13. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი და უფლებამოსილი იქნება სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევის თხოვნის მიღებაზე და შესრულებაზე ან ასეთი თხოვნის კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაცემაზე. მონაწილე სახელმწიფოს, თუ მასში არსებობს სპეციალური რეგიონი ან ტერიტორია სამართლებრივი ურთიერთდახმარების განსხვავებული სისტემით, შეუძლია, დანიშნოს განსაკუთრებული ცენტრალური ორგანო, რომელიც შეასრულებს იგივე ფუნქციას ამ რეგიონთან ან ტერიტორიასთან მიმართებაში. ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მიღებული თხოვნების სწრაფი და სათანადო შესრულება ან გადაგზავნა. თუ ცენტრალური ორგანო კომპეტენტურ ორგანოს შესასრულებლად უგზავნის თხოვნას, მან უნდა უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ თხოვნის სწრაფი და სათანადო შესრულება. მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა ეცნობოს ამ მიზნით დანიშნული ცენტრალური

ორგანოს შესახებ. სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნები და მასთან დაკავშირებული შეგყობინებები უნდა გადაეგზავნოს მონაწილე სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ცენტრალურ ორგანოებს. ეს თხოვნა არ უნდა ლახავდეს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, მოითხოვოს, რომ ასეთი თხოვნები და შეგყობინებები მიაწოდონ დიპლომატიური არხებით, და უკიდურეს შემთხვევებში, თუ მონაწილე სახელმწიფოები ამაზე შეთანხმდებიან, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, თუ ეს შესაძლებელია.

14. თხოვნა უნდა მომზადდეს წერილობითი ფორმით, ან, თუ შესაძლებელია, სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გაკეთების საშუალებას, თხოვნის მიმღები სახელმწიფოსათვის მისაღებ ენაზე, იმ პირობით, რომ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს მისცემს მისი ავთენტიკურობის დადგენის საშუალებას. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციის სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა ეცნობოს თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის მისაღები ენის ან ენების შესახებ. საგანგებო გარემოებების არსებობისას, და თუ მონაწილე სახელმწიფოები ამაზე შეთანხმდებიან, თხოვნა შეიძლება გაკეთდეს ბეპირი ფორმითაც, მაგრამ უნდა დადასტურდეს წერილობითი ფორმით.

15. სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწვევის თხოვნა უნდა შეიცავდეს:

a) მთხოვნელი ორგანოს მონაცემებს;

b) გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოების საგანს და ხასიათს, რომელსაც შეეხება თხოვნა; ასევე ამ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოების განმახორციელებელი ორგანოს დასახელებას და ფუნქციებს;

c) შესაბამისი ფაქტების მოკლე აღწერას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თხოვნა ეხება სასამართლო დოკუმენტის გაცემას;

d) მოთხოვნილი დახმარების აღწერას და დაწვრილებით ინფორმაციას ნებისმიერ კონკრეტულ პროცედურაზე, რომლის შესრულების უზრუნველყოფაც სურს თხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოს;

e) თუ შესაძლებელია, ნებისმიერი შესაბამისი პირის პირადობის, ადგილსამყოფელის და მოქალაქეობის ამსახველ მონაცემებს; და

f) მოთხოვნილი მტკიცებულებების, ინფორმაციის ან განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანს.

16. თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს მისი შიდა კანონმდებლობის თანახმად, შეუძლია, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, თუ ეს აუცილებელია თხოვნის შესასრულებლად ან თუ ეს ინფორმაცია ხელს შეუწყობს თხოვნის შესრულებას.

17. თხოვნა უნდა შესრულდეს თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მასთან შესაბამისობის ფარგლებში და, თუ შესაძლებელია, თხოვნაში მითითებული პროცედურების დაცვით.

18. თუ ეს შესაძლებელია და შეესაბამება შიდა კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს, პირი, რომელიც იმყოფება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მოსმენილ უნდა იქნეს მისი, როგორც მოწმის ან ექსპერტის ჩვენება მეორე მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებში. პირველ სახელმწიფოს შეუძლია, მეორე სახელმწიფოს თხოვნით, ნება დართოს საქმის ვიდეოკონფერენციის მეშვეობით მოსმენაზე, თუ თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაბამისი პირის პირადად გამოცხადება შეუძლებელია ან არ არის მისთვის სასურველი, მონაწილე

სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საქმის მოსმენა ჩატარდეს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ორგანოს მიერ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

19. თხოვნის გამგზავნმა მონაწილე სახელმწიფომ, თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა გადასცეს ან გამოიყენოს თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ან მტკიცებულებები გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოებისთვის, იმის გარდა რაც მითითებულია თხოვნაში. ეს პუნქტი ხელს არ უნდა უშლიდეს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს, საქმის წარმოებისას გამოაშკარაოს ის ინფორმაცია ან მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის ან მტკიცებულებების გამოაშკარავებამდე, თხოვნის გამგზავნმა მონაწილე სახელმწიფომ გამოაშკარავების შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს და, თუ არსებობს ამაზე თხოვნა, ჩაატაროს კონსულტაციები თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოსთან. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც წინასწარ შეგყობინება შეუძლებელია, თხოვნის გამგზავნმა მონაწილე სახელმწიფომ გამოაშკარავების შესახებ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს უნდა აცნობოს დაყოვნების გარეშე.

20. თხოვნის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა დაიცვას თხოვნის ფაქტის და შინაარსის კონფიდენციალურობა იმის გარდა, რაც აუცილებელია თხოვნის შესასრულებლად. თუ თხოვნის მიმღებ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია კონფიდენციალურობის დაცვა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს.

21. სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე უარის თქმა შესაძლებელია:

- a) თუ თხოვნა არ იყო წარმოდგენილი ამ მუხლის დებულებების შესაბამისად;
- b) თუ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო თვლის, რომ თხოვნის შესრულებამ შეიძლება ავნოს მის სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს;
- c) თუ თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა მის ორგანოებს უკრძალავს თხოვნაში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას ნებისმიერ მსგავს დანაშაულთან დაკავშირებით, ეს დანაშაული რომ ყოფილიყო მისი იურისდიქციის ფარგლებში გამოძიებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასამართლო წარმოებას დაქვემდებარებული;
- d) თუ სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის შესრულება ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას.

22. მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, უარი თქვან სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ დანაშაული ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ფისკალურ საკითხებთანაც.

23. ნებისმიერი უარი სამართლებრივი ცრთიერთდახმარების გაწევაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

24. თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ სამართლებრივი ურთიერთდახმარების გაწევის თხოვნა უნდა შეასრულოს რაც შეიძლება მოკლე ვადაში და, რამდენადაც შესაძლებელია, სრულიად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი საბოლოო ვადები, რომლებსაც ითხოვს მონაწილე სახელმწიფო და რომლებიც

მოგივირებულება, სასურველია თხოვნაში. თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უპასუხოს თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს გონივრულ შეკითხვას თხოვნის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. თუ მოთხოვნილი დახმარება საჭირო აღარ არის, თხოვნის გამგზავნმა მონაწილე სახელმწიფომ ამის შესახებ სასწრაფოდ უნდა შეაგყობინოს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს.

25. სამართლებრივი ურთიერთდახმარება შეიძლება გადავადებულ იქნეს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ, იმის საფუძველზე, რომ ეს ხელს უშლის მიმდინარე გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას ან სასამართლო წარმოებას.

26. ამ მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით თხოვნის შესრულებაზე უარის თქვამდე ან ამ მუხლის 25-ე პუნქტის მიხედვით თხოვნის შესრულების გადავადებამდე, თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გამართოს კონსულტაციები თხოვნის გაგზავნი მონაწილე სახელმწიფოსთან, რათა განიხილოს, რადენად შესაძლებელია დახმარების გაწევა ისეთ ვადებში და ისეთი პირობებით, რომლებიც საჭიროდ მიაჩნია თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს. თუ თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო თანახმაა დახმარებაზე ასეთი პირობებით, მაშინ იგი უნდა დაემორჩილოს მოცემულ პირობებს.

27. ამ მუხლის მე-12 პუნქტის გამოყენებისათვის ბიანის მიუყენებლად მოწმე, ექსპერტი ან სხვა პირი, რომელიც თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, თანახმაა, მისცეს ჩვენება საქმის წარმოების დროს ან დაეხმაროს გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას ან სასამართლო წარმოებას თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, დაკავებას, დასჯას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას ამ ტერიტორიაზე იმ მოქმედების, უმოქმედობის ან მსჯავრდების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოდან მის წამოსვლამდე. პირადი უსაფრთხოების ეს გარანტია წყდება, თუ მოწმე, ექსპერტი ან სხვა პირი შემდგომი თხუთმეტი დღის ან მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებული სხვა ვადის განმავლობაში, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც ასეთ პირს ოფიციალურად ეცნობა, რომ მისი დასწრება აღარ მოითხოვება სასამართლო ორგანოების მიერ, ჰქონდა თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა, თუმცა დარჩა ამ ტერიტორიაზე ნებაყოფლობით, ან დატოვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა უკან თავისი ნებით.

28. თხოვნის შესრულებასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯები უნდა დაფაროს თხოვნის გამგზავნმა მონაწილე სახელმწიფომ, თუ, დაინგერესებული მონაწილე სახელმწიფოები სხვაგვარად არ შეთანხმებულან. თუ თხოვნის შესრულებისათვის საჭიროა ან საჭირო გახდა არსებითი ან განსაკუთრებული ხარჯები, მაშინ მონაწილე სახელმწიფოებმა კონსულტაციებით უნდა განსაზღვრონ თხოვნის შესრულების პირობები და ვადები, ასევე ხარჯების დაფარვის წესი.

29. თხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო:

a) ვალდებულია თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს წარუდგინოს სამთავრობო მასალების და დოკუმენტების ასლები ან მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლებიც მისი შიდა კანონმდებლობის მიხედვით საჯაროდ ხელმისაწვდომია;

b) თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია, თხოვნის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფოს წარუდგინოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ან მის მიერ განსაზღვრული პირობებით, ნებისმიერი სამთავრობო მასალების და დოკუმენტების ასლები ან მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლებიც მისი შიდა კანონმდებლობის მიხედვით არ არის საჯაროდ

ხელმისაწვდომი.

30. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ, საჭიროების მიხედვით, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადების ან მორიგებების შესაძლებლობა, რომლებიც შეესაბამება ამ მუხლის მიზნებს, უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ მოქმედებას ან განამტკიცებენ მის დებულებებს.

მუხლი 19

ერთობლივი გამოძიება

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადების ან მორიგებების შესაძლებლობა, რომელთა საშუალებითაც დაინგერესებულ კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, შექმნან ერთობლივი საგამოძიებო ორგანოები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება გამოძიებას, სისხილსამართლებრივ დევნას ან სასამართლო წარმოებას ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში. ასეთი შეთანხმების ან მორიგების შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, ერთობლივი გამოძიება შეიძლება ჩაგარდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ მონაწილე სახელმწიფოს სუვერენიტეტის სრული პატივისცემა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა ჩაგარდეს ასეთი გამოძიება.

მუხლი 20

გამოძიების სპეციალური მეთოდები

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, თუ ეს დაშვებულია მისი შიდა სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპებით, თავის შესაძლებლობების ფარგლებში და შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რომლებიც ითვალისწინებს კონკროლირებადი მიწოდების შესაბამის გამოყენებას და, თუ საჭიროდ ჩათვლის, გამოძიების სხვა მეთოდების – ელექტრონული მეთვალყურეობის ან მეთვალყურეობის სხვა ფორმების, მათ შორის აგენტურული ოპერაციების გამოყენებას მისი კომპეტენტური ორგანოების მიერ, მისსავე ტერიტორიაზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოების მიზნით.

2. ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების გამოძიების მიზნებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები წახალისდებიან, საჭიროების შემთხვევაში, დადონ შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები ან მორიგდნენ გამოძიების სპეციალური მეთოდების გამოყენების შესახებ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის კონტექსტით. ეს შეთანხმებები ან მორიგებები უნდა დაიდოს და განხორციელდეს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის სრული დაცვით და უნდა სრულდებოდეს ზუსტად ამ შეთანხმებების ან მორიგებების პრინციპების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ან მორიგების შესაძლებლობის არარსებობისას, საერთაშორისო დონეზე გამოძიების ასეთი სპეციალური მეთოდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, და საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ითვალისწინებდეს ფინანსურ მორიგებებსა და ურთიერთგაგებას დაინგერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა მიერ

იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

4. საერთაშორისო დანებე კონგროლირებადი მიწოდებების გამოყენების გადაწყვეტილება, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების თანხმობით, შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ მეთოდებს, როგორც არის ცვირთის ხელში ჩაგდება და ხელუხლებლად დაგოვება ან მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღება ან შეცვლა.

მუხლი 21

სისხლის სამართალწარმოების გადაცემა

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ერთმანეთისათვის სისხლის სამართლის წარმოების გადაცემა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების სისხისამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს შედის მართლმსაჯულების სათანდო განხორციელების ინტერესებში საქმეთა გაერთიანების თვალსაზრისით, კერძოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს იურისდიქციასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 22

ნასამართლობის დადგენა

თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია იმ პირობებით და მიზნებით, რომლებსაც მიიჩნევს სათანადოდ, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს სხვა სახელმწიფოებში ეჭვმიტანილის რაიმე წინა ნასამართლობის მხედველობაში მისაღებად, ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოებაში ასეთი ინფორმაციის გამოყენების მიზნით.

მუხლი 23

მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის კრიმინალიზაცია

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რაც შეიძლება საჭირო გახდეს, რომ დანაშაულად იქნეს აღიარებული განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

a) ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება ან არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, ყალბი ჩვენების მიცემაზე დაყოლიების ან ჩვენების მიცემაში ან მტკიცებულების წარდგენაში ჩარევის მიზნით, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში;

b) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში სასამართლო ან სამართალდამცავი ორგანოს თანამდებობის პირების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ჩარევის მიზნით ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება. ამ ქვეპუნქტში ხელს არაფერი უნდა უშლიდეს მონაწილე სახელმწიფოს – იქონიოს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სხვა კატეგორიის საჯარო მოხელეთა დაცვას.

მუხლი 24

მოწმეთა დაცვა

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს სისხლის სამართალწარმოების პროცესში იმ მოწმეთა და, შესაბამის შემთხვევაში, მათი ნათესავებისა და ახლობლების შესაძლო შურისძიებისაგან ან დაშინებისაგან დაცვა, რომლებიც იძლევიან ჩვენებას ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ზომები, *inter alia* დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების, და სამართლიანი წარმოების უფლებების შეუღახავად მოიცავდეს:
 - a) აღნიშნულ პირთა ფიზიკური დაცვის პროცედურების დადგენას, რამდენადაც ეს აუცილებელია და შესაძლებელია, როგორებიცაა: მათი სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანა და, თუ საჭიროება მოითხოვს მათი პიროვნებისა და ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის არგახმაურება ან შეზღუდული გახმაურება;
 - b) ისეთი პროცესუალური ნორმების დაწესებას, რომლებიც უზრუნველყოფს მოწმის უსაფრთხოებას ჩვენების მიცემის დროს, როგორცაა, ჩვენების მიცემა ვიდეოკამერის ან სხვა შესაბამისი კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით.
3. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანის შესახებ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების დადების ან მირიგებების შესაძლებლობა.
4. ამ მუხლის დებულებები უნდა გამოიყენებოდეს დაზარალებულთა მიმართაც, იმდენად, რამდენადაც ისინი არიან მოწმეები.

მუხლი 25

დაზარალებულთა დახმარება და დაცვა

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების შედეგად დაზარალებული პირებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და მათ დასაცავად, კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს შურისძიების მუქარას ან დაშინებას.
2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს სათანადო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების შედეგად დაზარალებულ პირებს კომპენსაციით და რესტიტუციით.
3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, მისი შიდა კანონმდებლობის დაცვის პირობით, დაზარალებულებს უნდა შეუქმნას შესაძლებლობა, გამოხატონ და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები დანაშაულებების ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე, იმგვარად, რომ არ შეიღახოს დაცვის მხარის უფლებები.

მუხლი 26

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გაფართოებისაკენ მიმართული ზომები

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები იმ პირთა

წასახალისებლად, რომლებიც მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებში, რათა მათ:

a) წარუდგინონ კომპეტენტურ ორგანოებს, გამოძიებისა და მტკიცებულებათა მოპოვების მიზნებისათვის, სასარგებლო ინფორმაცია:

i) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ხასიათის, შემადგენლობის, სტრუქტურის, ადგილსამყოფელის ან საქმიანობის შესახებ;

ii) დამნაშავეთა სხვა ორგანიზებულ ჯგუფებთან კავშირის, საერთაშორისო კავშირების ჩათვლით;

iii) იმ დამნაშავეთა შესახებ, რომლებიც ჩაიღინეს ან შეიძლება ჩაიღინონ დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფებმა.

b) აღმოუჩინონ კომპეტენტურ ორგანოებს ფაქტობრივი, კონკრეტული დახმარება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფებისათვის რესურსების ანდა ნაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას.

2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს, შესაბამის შემთხვევებში, იმ ბრალდებული პირის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა, რომელიც არსებითად თანამშრომლობს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებში.

3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, მისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნდა გაითვალისწინოს, იმ პირისთვის, რომელიც არსებითად თანამშრომლობს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეში, სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტის მინიჭება.

4. აღნიშნულ პირთა დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ამ კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირს, რომელიც იმყოფება ერთ მონაწილე სახელმწიფოში, შეუძლია, არსებითად ითანამშრომლოს მეორე მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან, ამ ბს, მათი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ დადონ შეთანხმება ან მორიგდნენ მოცემული პირის მიმართ სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული მოპყრობის პირობების შესაბამისად.

მუხლი 27

თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის

1. მონაწილე სახელმწიფოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, თავიანთი შიდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, რათა აამაღლონ სამართალდამცავი საქმიანობის ეფექტიანობა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, კერძოდ, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა:

a) განამტკიცონ, ან საჭიროების შემთხვევაში, შექმნან საკომუნიკაციო არხები მათ კომპეტენტურ ორგანოებს, დაწესებულებებს და სამსახურებს შორის, რათა გააღვიდდეს ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფი გაცვლა, რომელიც ეხება ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებების ყველა ასპექტს, ასევე სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ჩათვლით, თუ დაინგერესებული სახელმწიფოები ჩათვლიან ამას საჭიროდ;

- b) ითანამშრომლონ სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების გამოძიების ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება:
- i) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირთა პირადობის, ადგილსამყოფელის და საქმიანობის ან მასთან დაკავშირებულ სხვა პირთა ადგილსამყოფელის დადგენას;
 - ii) აღნიშნული დანაშაულებების ჩადენის გზით მიღებული შემოსავლების და ქონების გადაადგილებას;
 - iii) აღნიშნული დანაშაულებების ჩასადენად გამოყენებულ ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების გადაადგილებას.
- c) საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინონ გამოძიების ან ანალიზის მიზნებისთვის აუცილებელი საგნები ან საჭირო რაოდენობის ნივთიერებები;
- d) ხელი შეუწყონ მათი კომპეტენტური ორგანოების, დაწესებულებების და სამსახურების ეფექტურ კოორდინაციას; აგრეთვე, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ორმხრივი შეთანხმებების ან მორიგეების შესაძლებლობის საფუძველზე, პერსონალის და ექსპერტების გაცვლას, კავშირგაბმულობის სპეციალისტების ჩათვლით.
- e) სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან აწარმოოს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ გამოყენებული კონკრეტული მეთოდების და საშუალებების შესახებ, თუ შესაძლებელია, მარშრუტების და გადაზიდვების, ყალბი ან შეცვლილი საიდენტიფიკაციო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოყენების ან ნამდვილი საქმიანობის დაფარვის სხვა საშუალებების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით;
- f) საჭიროებისამებრ, გაცვალონ ინფორმაცია და მოახდინონ აღმინისგრაციული და სხვა ზომების კოორდინირება ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების დროული გამოვლენის მიზნით.
2. კონვენციის განხორციელების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ მათი სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადების ან მორიგებების შესაძლებლობა, ხოლო, თუ უკვე არსებობს ასეთი შეთანხმებები ან მორიგებები, მაშინ მათი შეცვლის შესაძლებლობა. დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს შორის ასეთი შეთანხმებების ან მორიგებების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ განიხილონ ეს კონვენცია, როგორც მასში გათვალისწინებულ დანაშაულებებთან დაკავშირებული სამართალდამცავ ორგანოს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოებმა სრულად უნდა გამოიყენონ შესაბამისი შეთანხმებები ან მორიგებების შესაძლებლობები, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ჩათვლით, რათა მათ სამართალდამცავ ორგანოებს შორის გაღრმავდეს თანამშრომლობა.
3. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შესაძლებლობის ფარგლებში ითანამშრომლონ თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებებზე რეაგირების თვალსაზრისით.

მუხლი 28

ორგანიზებული დანაშაულის ხასიათის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გაცვლა და ანალიზი

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს სამეცნიერო და

აკადემიურ წრეებთან კონსულტაციების მეშვეობით გააანალიზოს მის ტერიტორიაზე ორგანიზებული დანაშალის ტენდენციები, გარემოებები, რომლებშიც ორგანიზებული დანაშაული ხორციელდება, აგრეთვე მასში ჩართული პროფესიული ჯგუფები და ტექნოლოგიები.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ანალიტიკური ცოდნის განვითარება და ერთმანეთისათვის გაზიარება როგორც ერთმანეთს შორის, ასევე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით. ამ მიზნებისათვის შესაბამის შემთხვევებში უნდა შემუშავდეს და გამოიყენებოდეს საერთო განმარტებები, სტანდარტები და მეთოდოლოგიები.

3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის და პრაქტიკული ღონისძიების მონიტორინგი, აგრეთვე შეაფასოს მათი ეფექტურობა და შესაბამისობა.

მუხლი 29

კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარება

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, საჭიროების მიხედვით, უნდა შეიმუშაოს, განავითაროს ან გააუმჯობესოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კონკრეტული მოსამზადებელი პროგრამები, პროკურორების, გამომძიებლების, საბაჟო ორგანოების თანამშრომლების და სხვა პირების ჩათვლით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების თავიდან აცილებაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე. ეს პროგრამები შეიძლება მოიცავდეს თანამშრომელთა მივლინებებსა და გაცვლას. კერძოდ, აღნიშნული პროგრამები უნდა ეხებოდეს, რამდენადაც ეს დაშვებულია შიდა კანონმდებლობით, შემდეგ საკითხებს:

a) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების თავიდან აცილების, გამოვლენისა და კონტროლის მეთოდებს;

b) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა მარშრუტებს და მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებს, მათ შორის საგრანზიტო ქვეყნებში, აგრეთვე შესაბამისი საპასუხო ღონისძიებებს;

c) კონგრანზიტის გადაადგილების მონიტორინგს;

d) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, ქონების, მოწყობილობის ან სხვა მასშვალეების გადაადგილების და ამგვარი შემოსავლების, ქონების, მოწყობილობის ან სხვა მასშვალეების გადაცემის, დაფარვის ან შენიღბვის მეთოდების გამოვლენას და მონიტორინგს, აგრეთვე ფულის გათეთრების და სხვა ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს;

e) მტკიცებულებათა შეგროვებას;

f) თავისუფალ სავაჭრო ზონებში და თავისუფალ ნავსადგურებში კონტროლის განხორციელების მეთოდებს;

g) სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში გამოყენებულ თანამედროვე აღჭურვილობას და მეთოდებს, ელექტრონულ მეთვალყურეობის, კონტროლირებადი მიწოდების და აგენტურული ოპერაციების ჩათვლით;

h) კომპიუტერების, ტელესაკომუნიკაციო ქსელების და თანამედროვე ტექნოლოგიის სხვა მასშვალეების გამოყენებით ჩადენილი გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს; და

i) დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვის ხერხებს.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა ერთმანეთს დახმარება უნდა გაუწიონ კვლევისა და კადრების მოსამზადებელი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ დარგებში სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას და საჭიროების შემთხვევაში, მათ ამავე მიზნით უნდა გამოიყენონ რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, რათა უზრუნველყონ თანამშრომლობა და ორმხრივი ინტერესის პრობლემების განხილვა, საგრანტიზო ქვეყნების განსაკუთრებული პრობლემებისა და საჭიროებების ჩათვლით.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა ერთმანეთს დახმარება უნდა გაუწიონ კადრების მომზადების და სხვა გექნიკურ საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეთა ექსტრადაციას და სამართლებრივ ურთიერთდახმარებას. აღნიშნული დახმარება და გრეინინგი შეიძლება მოიცავდეს უცხო ენის სწავლას, მივლინებებსა და მომუშავე პერსონალის გაცვლას, შესაბამისი ფუნქციების მქონე ცენტრალურ ორგანოებს ან დაწესებულებებს შორის.

4. ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების ან მორიგებების შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფოებმა, საჭიროების მიხედვით, უნდა გააქტიურონ ძალისხმევა, რათა მაქსიმალურად აამაღლონ პრაქტიკული და სასწავლო ღონისძიებების ეფექტურობა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების და სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების და მორიგებების ფარგლებში.

მუხლი 30

სხვა ზომები: კონვენციის იმპლემენტაცია ეკონომიკური განვითარების და გექნიკური დახმარების გზით

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ კონვენციის ოპტიმალური იმპლემენტაციის ხელშეწყობი ზომები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ორგანიზებული დანაშაულის ზოგადად სამოგადოებაზე უარყოფით გავლენის მხედველობაში მიღებით, კერძოდ მის მდგრად განვითარებაზე.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა, შესაძლებლობების ფარგლებში, ერთმანეთთან, ისევე როგორც, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან კოორდინირების გზით უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს:

a) განვითარებად ქვეყნებთან სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით, რომ გაძლიერდეს ამ ქვეყნების უნარი, თავიდან აიცილონ და ებრძოლონ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს;

b) განვითარებადი ქვეყნების ძალისხმევის მხარდასაჭერად ფინანსური და მაგერიალური დახმარების გაფართოებას, რომელიც მიმართულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და მათ მიერ ამ კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციისაკენ.;

c) განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის გექნიკური დახმარების აღმოჩენას, რათა მათ შეძლონ ამ კონვენციის იმპლემენტაციისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რეგულარულ და ნებაყოფლობით საფუძველზე მოახდინონ საკმარისი თანხების გადარიცხვა ანგარიშზე, რომელიც კონკრეტულად ამ მიზნისათვის არის

განკუთვნილი გაერთიანებული ერების დაფინანსების მექანიზმში. მონაწილე სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, მათი შიდა კანონმდებლობით და ამ კონვენციით დადგენილი წესით, აღნიშნულ ანგარიშზე ამ კონვენციის შესაბამისად კონფისკაციაქმნილი თანხის გარკვეული პროცენტის ან დანაშაულებრივი ვზით მიღებული შემოსავლების ან ქონების შესაბამისი ფულადი სახსრების სათანადო ნაწილის გადარიცხვას;

d) საჭიროების მიხედვით, სხვა სახელმწიფოების და ფინანსური დაწესებულებების წახალისებას და დარწმუნებას, რომ ისინი შეუერთდნენ ამ მუხლში აღნიშნულ საერთო ძალისხმევას. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნები უზრუნველყონ მეტი მოცლობის კადრების მოსამზადებელი პროგრამებით და თანამედროვე აღჭურვილობით, რაც დაეხმარება მათ ამ კონვენციის მიზნების მიღწევაში.

3. შესაძლებლობების ფარგლებში, აღნიშნული ზომები არ უნდა ლახავდეს არსებულ უცხოურ დახმარებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას ან სხვა ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმებებს ორმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

4. მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადება ან მორიგებების შესაძლებლობა მაგერიალურ- გექნიკური დახმარების შესახებ, ფინანსური შეთანხმებების მხედველობაში მიღებით, რაც აუცილებელია ამ კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურად წარმართვისათვის და გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მუხლი 31

გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება

1. გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, შეიმუშაონ და შეაფასონ ეროვნული პროექტები და ხელი შეუწყონ ამ თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკის და პოლიტიკის ჩამოყალიბებას და დანერგვას.

2. შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების დაცვით, მონაწილე სახელმწიფოები საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომების გამოყენების მეშვეობით უნდა შეეცადონ, დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს შეუმცირონ ლეგალურ ბაზარზე დანაშაულის ვზით მიღებული შემოსავლებით გამოყენების არსებული ან სამომავლო შესაძლებლობები. ეს ზომები უნდა ეხებოდეს:

a) სამართალდამცავ ორგანოებს და პროკურატურის ორგანოებს და შესაბამის კერძო ორგანიზაციებს, მათ შორის საწარმოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე;

b) ისეთი სგანდარგების და პროცედურების შემუშავების ხელშეწყობაზე, რომლებიც მიმართული იქნება საჯარო და შესაბამისი კერძო პირების კეთილსინდისიერი საქმიანობის დაცვისაკენ; აგრეთვე, ცალკეული პროფესიული ჯგუფებისათვის, სახელდობრ, იურისტების, ნოგარიუსების, საგადასახადო კონსულტანტებისა და ბუღალტრებისათვის ქცევის კოდექსის შემუშავების ხელშეწყობაზე;

c) ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცხადებული გენდერების პროცედურების და ხელისუფლების ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიების და სუბსიდიების დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებაზე;

d) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ იურიდიული პირების ბოროტად

გამოყენების თავიდან აცილებაზე. ეს ღონისძიებები შეიძლება მიცავდეს შემდეგს:

- i) იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის დაწესებას, რომლებიც მონაწილეობენ იურიდიული პირების დაფუძნებაში, მართვაში და დაფინანსებაში;
 - ii) ისეთი წესების შემოღებას, რომლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებებისთვის მსჯავრდებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილებით და სხვა შესაბამისი გზით აკრძალვთ, დროის გონივრული პერიოდით, შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაფუძნებული იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება;
 - iii) იმ პირთა ჩანაწერების დაარსებას, რომელთაც აკრძალული აქვთ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება; და
 - iv) ამ პუნქტის (d)(i) და (iii) ქვეპუნქტებში აღნიშნულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის გაცვლას სხვა მონაწილე სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან.
3. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეეცადონ, ხელი შეუწყონ ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენაში სმჯავრდებულ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას.
4. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, პერიოდულად მოახერხონ არსებული შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეფასება იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს რამდენად დაუცველია ისინი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბოროტად გამოყენების შესაძლებლობისაგან.
5. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, საზოგადოება უზრუნველყონ ინფორმაციით გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის არსებობის, მიზეზების, სიმძიმის, და მის მიერ გამოწვეული საფრთხის შესახებ. საჭიროების მიხედვით, ასეთი ინფორმაცია შეიძლება გაერცვლდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით და უნდა შეიცავდეს ზომებს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების მონაწილეთა ამგვარი დანაშაულების თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.
6. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს იმ ორგანოს ან ორგანოების სახელწოდება და მისამართი, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებით.
7. საჭიროების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან ამ მუხლში აღნიშნული ზომების შემუშავებაში და განხორციელებაში. ეს მოიცავს გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ მიმართულ საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობას, მაგალითად, პირობების გაუმჯობესებას იმ სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის, რომლებიც დაუცველნი არიან გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისაგან.

მუხლი 32

კონვენციის მონაწილეთა კონფერენცია

1. შეიქმნას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია, რათა გაფართოვდეს მონაწილე სახელმწიფოების შესაძლებლობა გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელი შეუწყოს და განხილულ იქნეს ამ

კონვენციის იმპლემენტაცია.

2. გარეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა მოიწვიოს მონაწილეთა კონფერენცია არაუგვიანეს ერთი წლისა ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან. მონაწილეთა კონფერენციამ უნდა მიიღოს რეგლამენტი და ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის მარეგულირებელი წესები (მათ შორის, წესები ამ საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების გადახდის შესახებ).

3. მონაწილეთა კონფერენციამ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უნდა შეათანხმოს მექანიზმები, რომლებიც მოიცავს:

a) ამ კონვენციის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული მონაწილე სახელმწიფოთა საქმიანობის ხელშეწყობას ნებაყოფლობითი შენაგანების მობილიზაციის ჩათვლით;

b) გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ფორმებისა და გენდენციების, აგრეთვე მასთან წარმატებული ბრძოლის ხერხების შესახებ მონაწილე სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას;

c) შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

d) ამ კონვენციის იმპლემენტაციის საკითხების პერიოდულ განხილვას;

e) ამ კონვენციის და მისი იმპლემენტაციის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის (d) და (e) ქვეპუნქტების მიზნებისათვის, მონაწილეთა კონფერენციამ უნდა მოიპოვოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების და მათ წინაშე ამ თვალსაზრისით არსებული სიძნელეების შესახებ აუცილებელი ცოდნა მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და იმ დამატებითი განხილვის მექანიზმების მეშვეობით, რომელიც მონაწილეეთა კონფერენციამ შეიძლება დააწესოს.

5. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ მონაწილეთა კონფერენციის მოთხოვნით, უნდა წარუღვინოს მას ინფორმაცია ამ კონვენციის რეალიზაციის პროგრამების, გეგმებისა და პრაქტიკების, აგრეთვე საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ.

მუხლი 33

სამდივნო

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა უზრუნველყოს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენცია აუცილებელი სამდივნო სამსახურებით.

2.სამდივნომ:

a) მონაწილეთა კონფერენციას დახმარება უნდა გაუწიოს ამ კონვენციის 32-ე მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში და მოაგვაროს და უზრუნველყოს მონაწილეთა კონფერენციის სხდომებთან დაკავშირებული აუცილებელი მომსახურებებით;

b) მონაწილე სახელმწიფოების თხოვნით, დახმარება უნდა გაუწიოს მონაწილეთა კონფერენციისათვის ამ კონვენციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებაში; და

c) უნდა უზრუნველყოს სხვა შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური

ორგანიზაციების სამდივნოებთან აუცილებელი კოორდინაცია.

მუხლი 34

კონვენციის იმპლემენტაცია

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, მისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩათვლით, რაც აუცილებელია ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

2. ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებები ასეთად უნდა იქნეს აღიარებული თითოეული მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში, მათი გრანსნაციონალური ხასიათის ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობისაგან დამოუკიდებლად, როგორც მითითებულია წინამდებარე კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კონვენციის მე-5 მუხლი დანაშაულის სავალდებულო ელემენტებად აწესებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობას.

3. გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, თითოეული მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს უფრო მკაცრი ან მძიმე ზომები, ვიდრე ამ კონვენციითაა გათვალისწინებული.

მუხლი 35

დავების მოგვარება

1. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა მოაგვარონ მოლაპარაკების გზით.

2. ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის, რომელიც ვერ გადაწყდა დროის გონივრული პერიოდის მანძილზე, მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნით, უნდა გადაეცეს არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის მოთხოვნიდან ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის ორგანიზებაზე, ამ მონაწილე სახელმწიფოთაგან ერთერთს შეუძლია, განაცხადით დავა განსახილველად გადასცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

3. კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთებისას, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ აღიარებს ამ მუხლის მე-2 პუნქტს სავალდებულოდ. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ უნდა იყოს სავალდებულო იმ მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც გააკეთა აღნიშნული დაფთქმა.

4. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დაფთქმა, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ეს დაფთქმა გააუქმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი შესაბამისი შეტყობინებით.

მუხლი 36

ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და შეერთება

1. წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის 2006 წლის 12-დან 15 დეკემბრამდე იგალიის ქალაქ პალერმოში, ხოლო ამ ვადის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის ცენტრალურ ოფისში 2002 წლის 12 დეკემბრამდე.
2. კონვენცია ასევე ღიაა ხელმოსაწერად ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის იმ პირობით, რომ ასეთი რეგიონული ორგანიზაციის ერთ წევრ სახელმწიფოს მაინც აქვს ხელი მოწერილი ამ კონვენციაზე, ამ მუხლის პიროველი პუნქტით გათვალისწინებული წესით.
3. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები დეპონირებული უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას შეუძლია მოახდინოს თავის სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის დეპონირება, თუ მისმა ერთმა წევრმა სახელმწიფომ მაინც მოახდინა აღნიშნული დოკუმენტის დეპონირება. სარატიფიკაციო სიგელში ან მიღების თუ დამტკიცების დოკუმენტებში ასეთმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეაფასოს დეპონირებას მისი კომპეტენციის ფარგლების შესაბამისი ცვლილებების შესახებ.
4. კონვენცია შეერთებისთვის ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის ან იმ ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისთვის, რომლის ერთ წევრი სახელმწიფო მაინც არის ამ კონვენციის მონაწილე. შეერთების დოკუმენტები დეპონირებული უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. შეერთების დროს, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლები ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეაფასოს დეპონირებას მისი კომპეტენციის ფარგლების შესაბამისი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 37

ოქმებთან დამოკიდებულება

1. ამ კონვენციას შეიძლება დაემატოს ერთი ან რამდენიმე ოქმი.
2. ოქმის მონაწილედ გახდომისათვის სახელმწიფო ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია ასევე უნდა იყოს ამ კონვენციის მონაწილე.
3. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსთვის ოქმი არ არის სავალდებულო, თუ იგი არ გახდება ოქმის მონაწილე მასში დადგენილი წესით.
4. კონვენციის ნებისმიერი ოქმი უნდა განიმარტოს კონვენციასთან ერთობლიობაში, ამ ოქმის მიზნის გათვალისწინებით.

მუხლი 38

ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ძალაში შევა მეორმოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს. ამ პუნქტისთვის ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ დეპონირებული არცერთი

დოკუმენტი არ ჩაითვლება ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ დეკონირებული დოკუმენტების დანამატად.

2. ყოველი სახელმწიფოსთვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისთვის, რომელმაც მოახდინა რატიფიკაცია, მიიღო, დაამტკიცა ეს კონვენცია, ან შეუერთდა მას მეორმოცე სარატიფიკაციო სიგელის ან ასეთი დოკუმენტის დეკონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შევა ამ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ შესაბამისი დოკუმენტის დეკონირებიდან 30- დღეს.

მუხლი 39

შესწორებები

1. კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება ცვლილებების შეგანის შესახებ და გადასცეს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელმაც ეს წინადადება განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად უნდა გადაუგზავნოს მონაწილე სახელმწიფოებს და კონვენციის მონაწილეთა კონფერენციას. მონაწილეთა კონფერენცია ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რომ თითოეულ შესწორების პროექტზე მიღწეულ იქნეს კონსენსუსი. თუ კონსენსუსის მიღწევის ყველა საშუალება ამოიწურა და შეთანხმება მაინც ვერ იქნა მიღწეული, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში შესწორების მიღებისათვის საჭიროა მონაწილეთა კონფერენციის დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედი.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლიათ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ იმდენი ხმით, რამდენი ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოც არის მათი წევრი. ამ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ხმის მიცემა, თუ ხმის მიცემის უფლებას ახორციელებენ მათი წევრი სახელმწიფოები და პირიქით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული შესწორება ექვემდებარება მონაწილე სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღებული შესწორება მონაწილე სახელმწიფოსთვის ძალაში შედის მის მიერ ამ შესწორების რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეკონირებიდან 90-ე დღეს.

5. ძალაში შესვლის შემდეგ შესწორება სავალდებულოა იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა მათთვის ამ შესწორების სავალდებულობაზე. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისთვის ამ კონვენციის დებულებები და მათ მიერ აღრე რატიფიცირებული, მიღებული ან დამტკიცებული ყოველგვარი შესწორება რჩება სავალდებულო.

მუხლი 40

დენონსაცია

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ

შეცვობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია შეწყვეტს ამ კონვენციის მონაწილედ ყოფნას, თუ ამ ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის დენონსაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით კონვენციის დენონსაცია გამოიწვევს მისი ყველა ოქმის დენონსაციას.

მუხლი 41

დეკლარაციები და ენები

1. წინამდებარე კონვენციის დეკლარაციად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

2. ამ კონვენციის დელანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩეხური, რუსული და ფრანგული ტექსტები არის თანაბრად ავთენტიკური, დეკლარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

რის დასადასტურებლადაც, ქვემოთ ხელისმომწერმა, თავიანთი მთავრობებისაგან ჯეროვნად უფლებამოსილი სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.